სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №307
2025 წლის 24 დეკემბერი

ქ. თბილისი

„თვითმფრინავების საფრენოსნო ექსპლუატაციის წესების დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 11 ოქტომბრის №203 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„თვითმფრინავების საფრენოსნო ექსპლუატაციის წესების დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 11 ოქტომბრის №203 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 21/10/2013 წ., სარეგისტრაციო კოდი: 310050000.54.066.016046) დამტკიცებულ „თვითმფრინავების საფრენოსნო ექსპლუატაციის წესებში“ შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „თვითმფრინავების საფრენოსნო ექსპლუატაციის წესების“ (შემდგომ – „წესები“) მოთხოვნები ვრცელდება:

ა) „საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში“ რეგისტრირებული თვითმფრინავებით შესრულებულ კომერციულ საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვაზე;

ბ) საქართველოში სერტიფიცირებული საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის (შემდგომ – ექსპლუატანტი) მიერ უცხო სახელმწიფოს რეესტრში რეგისტრირებული თვითმფრინავით შესრულებულ კომერციულ საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვაზე;

გ) უცხო სახელმწიფოს სხ-ის ექსპლუატანტის მიერ საქართველოში შესრულებულ კომერციულ საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვაზე.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს
დირექტორი **გივი დავითაშვილი**